# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 16 დეკემბერი 1899 წ. № 989.

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის„ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“—„Моамбе“



# 1900 წ.

| „მოამბე“ (წელიწადი მეშვიდე) გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეხუთე) გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც |
|---|---|
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . 1 წლ. 10 მ., 6 თვ. 6 მ., 3 თვ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . 1 წლით 6 მან., 1 თვით 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 13 მ. 7 მ. 5 მ, | სამზღვარ გარეთის ქალაქებში. . . . . 7 მან, 90 კაპ. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

# ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,
ბენეფისი
ელ. ა. ჩერქეზიშვილისა
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I
ერთი შემთხვევა
სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 მოქმედ. თხზ. გ. ჟურულისა.

II
სამოცი წლის არშიყი
ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმედ. თხზ. ქ. ჩერქეზიშვილისა.
მოთამაშენი: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარელი, ჩერქეზიშვილისა, ლასო აბაშიძე, ნებიერისა; ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივი.—დასაწყისი 8 საათზე
ნ. (5—4) რეჟისორნი აბაშიძე და კ. მესხი

საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
იღებს ყოველგვარ
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

თეორია და პრაქტიკა
ფრანგულის ენისა
გეიდენის ქ, № 6, ქვემო სართული.
სადილის შემდეგ 5—6 საათზედ.
იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გაბეჯითება.

შაბათს, 18 დეკემბერს.
ტფილისის სობრანიე-ში
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საშუალებათა გასამდიდრებლად
კნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა გამართავს სამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს.
მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ფ. გურამიშვილისა, ე მ. ამირაჯიბი, ქ-ნნი ა. პ. მესხი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი. ა. დ. კოვალენსკი, თავ. ი. ა. ბარათაშვილი და კ. ს. მესხი.
ბილეთების ყიდვა შეიძლება კნ. ჭავჭავაძისაგან, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 21, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ქარვასლაში. (უ)


## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ავათმყოფობისა გამო აწ გაუქმებულის ბათუმის მილიციის პორუჩიკი ნიჟარაძე (დედი-ალა-ბასილ-ოღლი) შტაბს-კაპიტანის ჩინით, მუნდირით და პენსიით.

### მთავარ-მართებლის ბრძანება

შტატს გარეშე დარჩენილ იქმნა თელავის მაზრის სასოფლო სადარაჯოს დისტანციის უფროსი მილიციის პრაპორშჩიკი თავ. მიხ. ლეონიძე

### მთავრობის განკარგულება სამოქალაქო უწყებას

ყარსის სამაზრო ხაზინის ბუღალტერი კოლ. ასეს. მძინაროვი დაინიშნა ერევნის სახაზინო პალატის ბუღალტრად 1 დეკემბრიდან.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან თავისის თხოვნით: კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე სარაჯიან მაღლაკელიძე და სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე პროკოფი ფანცხავა.

---

## ახალი ამბავი

✦ 14 დეკემბერს ბაქოს ცნობილ მილიონერს ა. ი. მანთაშევს წერილი მოუწერია ტფილისის ქალაქის მოურავისთვის, შემოწირავს ხუთი ვაგონი ნავთი შემდეგის პირობითო: ეს ნავთი ქალაქმა მიჰყიდოს ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ $2^1/_2$ კაპ. გირვანქა; ხოლო მოგებული ფულით იყიდოს შეშა და ნახშირი და უფასოთ დაურიგოს გაჭირვებულთო.

✦ „ტფ. ფურცელს“ატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტროს მოუწონებია პროექტი ტფილისში ნოქართა საზოგადოების დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის ვაჭარს ტერ-აბრამიანცს ქალაქის გამგეობისათვის გამოუცხადებია, რომ მას სურს ა. ი. მანთაშევის მიერ შემოწირული ნავთი მიიღოს რკინის გზიდან უსასყიდლოთ თავის საწყობში, შეინახოს იგი და უფასოდვე გაზიდოს იგი, სადაც გამგეობა უჩვენებს.

✦ მთავრობის განკარგულებით უმრავი ქონება კერძო პირთა ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებისა და სოხუმის ოლქისა, რომელთაც არ შეუტანიათ წელიწად-ნახევრის ნედოიმკა მიწის გარდასახადისა და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო შენობებზე და დაწესებულებებზე დადებულ ორ პროცენტიან გარდასახადისა, გაყიდულ იქნება საჯაროთ მაშინვე, როგორც კი შედგენილი იქნება მამულების სია და დაფასება.

✦ სამშაბათს, 14 დეკემბერს საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში მოხდა ამ განყოფილების წევრთა კრება, რომელსაც საგნად ჰქონდა განხილვა კითხვისა—თუ როგორ უნდა მოიწყოს საქმე ადგილობრივ გრენის გაუმჯობესობისა. კრებას დაესწრნენ, სხვათა შორის, სტამბოლიდან ჩამოსულნი გრენიორებიც.

✦ ხვალ, 17 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მოხდება კავკასიის

**სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება**; საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება გრენის ვაჭრობისა, გამოწერისა და გაკეთეთების კონტროლის შესახებ.

✦ მთავარ-მართებლის კანცელარიაში მიიღება ღარიბთათვის **შეწირულება** იმ პირთაგან, ვისაც ჰსურს უქმე დღეებში ვიზიტების მაგიერ ფული გადიხადოს.

✦ დღეს ტფილისის საბჭოს აღმასრულებელი კომისია დააკვლევინებს საქონელს გამოსაკვლევად იმისა, თუ **რა უნდა დაჯდეს** გირვანქა ხორცი.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს საბჭოს, რომ არჩეულ იქმნას აღმასრულებელი კომისია ღარიბთათვის **შეშის უფასოდ** დასარიგებლად.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ჰყიდოს ორ კაპეიკ ნახევრად **ნავთი** შემდეგს ადგილებში: 1) ნავთლულში, რეიტერის ქუჩაზე, წყლის კრანთან, 2) კახეთის ქუჩაზე, სავაჭრო პოლიციის კონტორაში; 3) ჩუღურეთში, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის ახლო, წყლის კრანთან; 4) ავჭალის ქუჩის მოედანზე—წყლის კრანთან; 5) ნაძალადევში, წყლის კრანთან; 6) დიდუბეში, ქალაქის მეორე ღამის თავ-შესაფარში; 7) ოლგინის და წყნეთის ქუჩების კუთხეში, წყლის კრანთან; 8) მამა-დავითის მოედანზე, წყლის კრანთან; 9) მუხრანის ქუჩაზე—წყლის მილის კრანთან; 10) თათრის მეიდანზე, ქალაქის საყანთროსთან და 11) ვორონცოვის ქუჩაზე, ჩითახოვის ქარხნის პირდაპირ. თითოეულს მსურველს მიეყიდება არა უმეტეს ოთხის გირვანქისა.

✦ კვირას, 19 დეკემბერს, შრომის მოყვარეობის სადგომში (ავჭალის ქუჩა, № 63) დანიშნულია ქ. ტფილისის **შრომის მოყვარეობის სახლის სამზრუნველო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება**. კრებას საგნად ექნება: განიხილოს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა 1899 წლის 1 იანვრამდე, არჩევა განყოფილებათა მზრუნველობისა, არჩევა გამგეობის რამდენიმე წევრისა და სხვა.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში ნიჭიერის არტისტ ქალის **ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისია** დანიშნული.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს მოუმატოს ამიერ კავკასიაში **სააგარაკო-ნოფელთა** რიცხვს.

✦ ტფილისის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს, „კავკაზის“ სიტყვით, წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა და რა ზომა უნდა იქმნას მიღებული **ქალაქის წყლის მილის გაუმჯობესობისათვის**. მოხსენება ურჩევს ქალაქს დადგმულ იქმნას სხვა და სხვა ადგილას ამერიკული ფილტრები და გამოყვანილ იქმნას მეორე მაგისტრალი ვეპლიდანა.

✦ სავაჭრო პოლიციის ზედამხედველმა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, გასაჭირია საქონლის თითო სულზე ცალკე კვიტანცია იყოს გაცემული საქონლის სავაჭრო მეიდანზეო; უმჯობესი იქმნება კვიტანციების მაგივრად **მარკები** გამოვართვათ საქონლის პატრონებსაო. გამგეობამ შეიწყნარა ეს წინადადება.

✦ გაზ. „კასპის“ სიტყვით, 11 დეკემბერს ბაქოში ექვსი ბოროტ-განზრახველი **დასცემიან გაჭარ ს. ს. არზუმანოვის სახლს**, ტელეფონის ქუჩაზედ, პოლიციის მე-4 ნაწილის პირდაპირ. სამი მათგანი შეცვივნულან საწოლ ოთახში, სადაც უნახავთ არზუნოვი თავის ცოლით. ბოროტ-განმზრახველნი ხანჯალ-ამოღებულნი დასდგომიან არზუნოვს თავზე და მოუთხოვნიათ ეჩვენებინა სადა აქვს ფული შენახული. ქალს შიშისაგან გული წასვლია. როდესაც დარწმუნდნენ, რომ სახლის პატრონი არ აჩვენებს ფულის ყუთს, ერთმა ბოროტ-განზრახველმა ამოიძრო ხანჯალი და დასჭრა არზუნოვი მარცხენა გვერდში. უკანასკნელმა ინსტიქტიურად ხელი წაატანა ხანჯალს და ზედ შეაჭრა მარჯვენა ხელი. დანარჩენი სამი შეცვინდნენ ყმაწვილების ოთახში და იქ დაუწყეს წვალება ბავშვების მომვლელ დედაკაცს. ჯერ ყელში წაუჭირეს ისე რომ ცხვირიდან და პირიდან სისხლი წამოუვიდა, მერე პირი აუხვიეს და საწოლ ქვეშ შეაგდეს. დედაკაცმა მაინც მოასწრო დაკივლება, რომელიც გაიგონეს მეზობლებმა და მოაშურეს. ბოროტ-განზრახველნი გაიქცნენ; მათ ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს. მათ ერთი ხანჯალი დარჩათ.

✦ ამას წინად ჩვენ მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ბაქოს საოლქო სასამართლომ გაამართლა ექიმი ვართაპეტოვი, რომელსაც ბრალდებოდა **ცოლის წვალება** და თავის მოკვლამდის მიყვანა. როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, ამ განაჩენით უკმაყოფილო დარჩენილა სასამართლოს ბრალმდებელი და პროტესტი წარუდგენია ტფილისის სასამართლო პალატაში. იქვე აპელაცია შეუტანია ვართაპეტოვის საბრალო ცოლის დედის რწმუნებულს, ნაფიც ვექილს გ. ს. ტერ-სტეფანოვს.

✦ ამას წინად ბანის ხევში (გორის მაზრა), მათ უმაღლესობათა ბორჯომის მამულის მსახურს-მონადირეს, სამსონ გვიმბრაძეს, შეხვედრია ტყეში 7—8 შეიარაღებული კაცი, რომლებმაც **თოფის სროლა დაუწყეს** მას. გვიმბრაძემ უპასუხა და ოთხჯერ ესროლა თოფი, რის შემდეგ ბოროტ-განმზრახველნი გაიქცნენ იმერეთისაკენ. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გვიმბრაძეს საქმე ჰქონდა ტყის ქურდებთან და რომ მათ შორის მომხდარ სროლის დროს გვიმბრაძეს მოუკლავს ერთი ბოროტ-გამზრახველთაგანი—გიორგი უხადაძე და დაუჭრია მეორე—მიხ. ალხაზიშვილი („კავკაზ“).

✦ ტფილისში 1-დან 8 დეკემბრამდე სულ 34 კაცი გამხდარა ავად სხვა და სხვა **გადამდებ სენით** („კავკაზ“).

✦ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ **საზოგადოების ყურადღება** ღარიბ ქალს, ჰელაგია კაშაკიძეს. საბრალო ქქვსი წვრილ-შვილითურთ დარჩენილა ულუკმაპუროდ ტფილისში; ქმარი სამუშაოზე ყოფილა ყარსის რკინის გზაზე და ავად გამხდარა; დიდი ხანია ცოლმა მისი ამბავი აღარა იცის-რა და წვრილის შვილებით უპატრონოთ არის. ვისაც ჰსურს შესწიროს ფული გაჭირვებაში მყოფ ოჯახს, შეუძლია აბოვნოს იგი ამ **ადრესით**: მესამე გონჩაროვის ქუჩა (ჩუღურეთში), კართანოვის სახლი, № 7.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

### 14 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** 14 დეკემბერი. საღამოს წაბძანდენ მოსკოვს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

**ტიუმენი.** სიცივე აღის 34 გრადუსამდე.

**მოსკოვი.** დღეს გრაფ ლევ ტოლსტოი ისევ ცუდათ გახდა.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ 7 დეკემბერს ინგლისის ჯარის ბანაკიდან ჩიველეზე. „დღეს ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ბურების სიმაგრეებს კოლენზოსთან; ხიდი დანგრეულია, ასე რომ, ბურებს, რომელნიც ამ მხარეს ხდებიან ურმებითა და ზარბაზნებით, გაუჭირდებათ იმ მხარეს გადასვლა“.

„ტაიმსის“ სიტყვით, მთავრობას სასურველად არ მიაჩნია კიდევ გამოიყვანოს ინდოეთიდან ჯარები, თუ რამე მოულოდნელი შემთხვევა არ მოხდება.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“. უმაღლესი სასამართლო. უფროსმა ბრალმდებელმა დაიწყო თავისი სიტყვის წარმოთქმა. ის აცხადებს, რომ არ ამტყუნებს შევილიეს, ფრეშანკურს, ბურმონს, ბალიერს, ბრიუნესა და კაილის.

### 15 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 19 დეკემბერი. ცარსკოე სელოში აკურთხებს ხელმწიფის თანადასწრებით მის უდიდებულესობის კირასირთა პოლკის ეკკლესიას.

**პრეტორია.** 5 დეკემბერი. „რეიტერის სააგენტო“. გენერალი ჟუბერი კარგა შეიქმნა და თავის ადგილას დაბრუნდა.

**კაპშტადტი.** 7 დეკემბერი, „რეიტერის სააგ.“ ის ამბავი, ვითომ ბურებმა წყლის უქონლობის გამო სტრომბერგი მიატოვესო, არ მართლდება. გატეკრის ჯარში მუცლის ავადმყოფობა ძლიერდება.

ჩიველეს ბანაკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ შვიდს დეკემბერს დილით ინგლისელებმა საზღვაო ზარბაზნები დაუშინეს კოლენზოსთან გადებულ ხიდს და დაანგრიეს იგი.

**კაპშტადტი.** „რეიტ. სააგენ.“ 8 დეკემბერს აქ დაბრუნდა მოდერ-რივერიდან რამდენიმე სამხედრო კორესპონდენტი, რის გამო ჰფიქრობენ, რომ მეტუენს არ აქვს განზრახვა იერიში მიიტანოს.

**ლონდონი.** კაპშტატიდან ოფიციალური ცნობა მოვიდა 13 დეკემბრიდან, რომ მოდდერ-რივერზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მეტუენმა გარშემო მაგარი თხრილები გაიკეთა. გატეკრი იუწყება, რომ 150 კაცმა პოლიციის ჯარისამ დაიჭირა დორტრეხტი. ბურებმა უკან დაიწიეს.

**გმუნდენი**, „კორ. ბიურო“ დანიის მეფე კოპენჰაგენში წავიდა.

**დურბანი.** ნორვეგიის გემი „Regina“, რომელიც მიდიოდა იავიდან დატვირთული რკინის გზის სხვა-და-სხვა მასალით, დელაგოას ნავთ-სადგურთან ინგლი-

სის სამხედრო გემმა დაიჭირა და დურბანში მიაბრუნა.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ." სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა მიტერმარცბურგიდან 12 დეკემბერს მოსული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ 10 დეკემბერს ლიდი სმიდტთან მოხდა ომი რომელშიაც დაიჭრა 5 აფიცერი და 10 ჯარის-კაცი. მ კლულ იქმნა 9 ჯარის-კაცი.

**კაპშტადტი.** 8 დეკემბერი. „რეიტერის სააგ." კაპის ახალშენებში აჯანყება დღითი დღე მატულობს. აჯანყებულთ მეთაურობენ სამი წევრი კაპის პარლამენტისა, ერთმა მათგანმა 200 კაცის თანადასწრებით გადასცა ერთს აფიცერს ორანჟერის რესპუბლიკის დროშა და უთხრა: „იმედია დაიმსახურებ სახელსა და გამარჯვებასაო." მეორე წევრმა საყოველთაოდ გამოუცხადა თანაგრძნობა ბურებს. მესამე წევრის შვილები კი, ქალ-ვაჟი, ორანჟეს რესპუბლიკის ფერადებით დადიოდნენ ხალხში. ასევე იქცევიან ბევრი სხვებიც. ხმებია აგრეთვე გავრცელებული, რომ შეერთებულშტატების სხვა-და-სხვა ნაწილში ფენიებმა შეადგინეს რაზმები ბურების დასახმარებლად და აპირობს კანადაში მცხოვრებლებს თავს დაესხან.

**ნიუ-იორკი.** „ჟურნალი" გვარწმუნებს, რომ სტატს-სეკრეტარმა გეიმ განუცხადა პაუნეფოტს ყოველივე ღონე ვიხმარე, რათა შეერთებულმა შტატებმა ნეიტრალიტეტი დაიცვასო. გაზეთი დასძენს, რომ პაუნეფოტმა ლონდონში დეპეშა გაგზავნა და ამტკიცებს, რომ კანადის საზღვრების დაცვა მიუცილებელი საჭირო არის.

**ვაშინგტონი.** „რეიტერის სააგენ." გარეშე საქმეთა სამინისტროში არაფერი არ იციან, თუ ფენიებს განზრახვა აქვთ კანადას თავს დაესხნენ. ჰფიქრობენ, რომ ეს ხმა იმ მიზნით გაავრცელეს, რომ შეაშინონ კანადა, რათა აქედან არ გაგზავნონ ჯარები აფრიკაში.

**მოდდერ-რივერი.** 9 დეკემბერი. „რეიტ. სააგ." დღეს სხვა და სხვა ადგილას ორისავე მხრით განუწყვეტელი ზარბაზნების სროლა არის. ბურების ზარბაზნების ყუმბარები არ სწვდებიან ინგლისელიბის ჯარებს.

**ლისაბონი.** „ჰავასის სააგ." ოპორტოდან მოსული ჯარის-კაცი ავად გახდა შავი ჭირით ლისაბონის ყაზარმაში. ეს ჯარის-კაცი და მთელი როტა გადაიყვანეს საავადმყოფოში.

**პარიზი.** „ჰავას. სააგ." დელკასემ პეკინში მყოფის საფრანგეთის ელჩისაგან ცნობა მიიღო, რომ ჩინეთმა სრულიად დააკმაყოფილა საფრანგეთის ყველა მოთხოვნილება.

**პარიჟი.** „რეიტ. სააგ." უმაღლესი სასამართლო. რეკვიზიტორიის დროს ბიუფეე და კაილი წინააღმდეგობას აცხადებენ, რის გულისთვისაც ისინი სასამართლოს დარბაზიდან გაჰყავთ. რეკვიზიტორია ხვალ გაგრძელდება. სხდომა დაიხურა.

**ოდესა.** ყინულის სისქე ზღვის ნაპირზე სამი ჩარექია. რუსეთის საზოგადოებამ შესწყვიტა ადესიდან ყირიმსა და კავკასიაში გემების მიმოსვლა. გზის ყინულისაგან განთავისუფლებამდის ამ საზოგადოების გემები სევასტოპოლს არ გამოსცილდებიან.

„ოლგა"-ს მისაშველებლად, რომელიც ქარიშხალმა სინოპის ნავთ-სადგურში ჩაიტანა, გაგზავნილია გემი „იმპერატორი ალექსანდრე II".

**პეტერბურგი** 14 დეკემბერს ტრანსვაალში გაემგზავრა რუსეთისა და ჰოლანდიელთა სასანიტარო რაზმი, რომელიც შესდგა ჰოლანდიელი პასტორის გილლოტასაგან შეწირული ფულით.

**პეტერბურგის ბირჟა.** 14 დეკემბერი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდვე-ლისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა. . . . | 215 | — „ | — |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 93 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 99 „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% ამავე ბანკისა | — „ | 94 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა . . . | 90 „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 319 „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | — ,, | 277 „ |

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —7½ კ. |
| სუკი . . . . . | 1 „ | —12 კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 5 კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. | 1 „ | — 9 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3½ „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

**ტფილისის ბაზრები**

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 30 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 90 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 75 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 30 | — | — |
| „ უ.რო მდარე | 1 | 1 | 20 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 40კ. | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ, შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

**რუსეთის ბაზრები**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 ,, | 25 ,, |
| № 1—8 ,, | 50 ,, | № 5—7 ,, | — ,, |
| № 2—8 ,, | — ,, | № 6—6 ,, | 75 ,, |
| № 3—7 ,, | 50 ,, | № 7—6 ,, | 25 ,, |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 მ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
,, ფშხვნილი ,, 4 ,, 80 ,,
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სიერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში - 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის**

გამგეობისაგან:

რადგან ქალაქს ტფილისში მეტად გაძვირდა ნავთი, ნახშირი და შეშა, ტფილისის შთამომავლობითმა საპატიო მოქალაქემ **ალექსანდრე იგანეს ძემ მანთაშევმა** გადასცა ტფილისის ქალაქის გამგეობას ხუთი ვაგონი ნავთი, წონით 3500 ფუთამდე, რათა მიჰყიდოს ტფილისის უულატაკესს მცხოვრებთ ფუთი 1 მანეთად, ანუ გირვანქა ორ კაპეიკ ნახევრად, იმ პირობით, რომ აქედან აღებული ფულით შეძენილ იქმნას შეშა და ნახშირი ღარიბთათვის უფასოდ დასარიგებლად. ტფილისის გამგეობა აუწყებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ დეკემბრის 17-დან 11 ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებზე დაიწყობა ნავთის გაყიდვა:

1) ნავთლუღში, რეიტერის ქუჩა, წყლის კრანთან.

2) კახეთის მოედანზე, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კონტორაში.

3) წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიასთან ჩუღურეთში, წყლის კრანთან.

4) ავჭალის მოედანზე, წყლის კრანთან.

5) ნაძალადევში (ნახალოვკა), წყლის კრანთან.

6) დიდუბეში, ქალაქის ღამის თავ-შესაფარში.

7) ოლგინისა და წყნეთის ქუჩების კუთხეში, წყლის კრანთან.

8) მამადავითის მოედანზე, წყლის კრანტთან.

9) მუხრანის ქუჩაზე, წყლის კრანთან.

10) თათრის მეიდანზე, ქალაქის სასწორთან.

11) ვორონცოვის ქუჩაზე, ჩითახოვის ქარხნის პირდაპირ, ქალაქის ღამის პირველ თავშესაფარში.

ნავთი გაიყიდება გირვანქა ორ კაპეიკ ნახევრად და ერთსა და იმავე პირს მიეცემა არა უმეტეს 4 გირვანქისა.

გაყიდვა დაიწყება დღის 12 საათზე და გასტანს საღამოს ხუთ საათამდე. შეშისა და ნახშირის მუქთად დარიგების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

(3—1)

ამ დღეებში დაურიგდება «ცნობის ფურცლის» ხელის მომწერთ

# შიო არაგვისპირელის ნაწერები

პირველი წიგნი. რ. 10—5

# „ივერია“

გამოვა 1900 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**ფასი გაზეთისა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვით | 10 მ. — კ. | | 6 თვით | 6 მ. — კ. | |
| 12 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 50 „ | |
| 11 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 75 „ | |
| 10 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ | |
| 9 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 75 „ | |
| 8 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის:**

ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

ტფილისი, „ივერიის“ რედაქცია, ნიკოლოზის ქ., № 21. და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთა თავად-აზნაურთა ქარვასლა · ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირდაპირ.

**ფასი განცხადებისა:**

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

ტფილისს გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА.“

ტელეფონი № 227.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

## Подписка на 1900 годъ.

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

съ будущаго года будетъ выходить въ увеличенномъ форматѣ

по слѣдующей, утвержденной правительствомъ, программѣ: I. Приказы по военному и гражданскому управленіямъ Кавказа и Закавказья. II. Статьи по внутреннимъ вопросамъ. III. Обозрѣніе иностранной политической жизни. IV. Научно-литературный отдѣлъ. V. Общая хроника: внутренная и иностранная. VI. Библіографія. VII. Мѣстный отдѣлъ и корреспонденціи. VIII. Обширный справочный отдѣлъ.

Иллюстрированныя прибавленія къ газетѣ, посвященныя кавказовѣдѣнію и матеріаламъ исторіи Кавказа въ связи съ постепеннымъ развитіемъ въ краѣ гражданскихъ учрежденій, будутъ выходить попрежнему, не менѣе двѣнадцати номеровъ въ годъ,

Впредь до пол ученія заказанной бумаги увеличеннаго размѣра, газета будетъ выходить въ настоящемъ форматѣ, но съ вкладными листами.

По понедѣльникамъ и послѣпраздничнымъ днямъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ БЕЗЪ ИЗМѢНЕНІЯ, А ИМЕННО:

**въ Тифлисѣ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На годъ. | 5 р. — | На 3 мѣсяца. | 1 р. 75 к. |
| „ 6 мѣсяц. | 3 р. — | „ 1 „ | . — 75 к. |

**иногороднымъ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На годъ. | 7 р. — „ | На 2 мѣсяца | 2 р. — |
| „ 6 мѣсяц. | 3 р. 50 к. | „ 1 „ | 1 р. — |

Подписка принимается исключительно въ конторѣ изданія: Тифлисъ, Головинскій, № 3.

პ. 3—1

# ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1900 ГОДЪ

# „СУДЕБНЫЯ ДРАМЫ“.

„Здѣсь одна правда, дѣйствительность во всей своей подчась неприглядной наготѣ“.

*(ТРЕТІЙ ГОДЪ).*

**12 КНИГЪ ВЪ ГОДЪ СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ 4 РУБ.**

Разсрочка только черезъ контору: при подпискѣ 2 руб., въ Апрѣлѣ и Августѣ по 1 руб.

***Контора редакціи—МОСКВА. Остоженка, Савеловскій пер., д. Снегиревой.***

Журналъ по прежнему будетъ помѣщать: Замѣчаельные и загадочные процессы и уголовныя исторіи всѣхъ странъ.—Рѣчи судебныхъ ораторовъ.—Процессы дня.—Біографіи, мемуары и автобіографіи.—Рисунки и портреты.

Редакція обращаетъ особенное вниманіе на помѣщеніе русскихъ процессовъ, имѣющихъ историческое, бытовое и психологическое значеніе. Съ первыхъ Книжекъ журнала начнутся печатаніемъ процессы: Клуба червонныхъ валетовъ, Скопческія дѣла, Игумени Митрофаніи.—Изъ иностранныхъ: *Франкъ-Масонство*, новые мемуары Горона—*Уголовная Любовь*, политическіе процессы, начиная съ дѣла Людовика XVI и др.

Въ 1899 году между прочимъ непечятано: Убійство Генриха IV.—Палата пытокъ.—Біатриче Ченчи.—Дѣло Дерулэда.—Процессъ Луи Наполеона.—Дамьенъ.—Вампиръ.—Пэль.—Убійство патера Томаса въ Дамаскѣ.—Разбойникъ Мандренъ.—Робъ-Рой.—Авиненъ и Лемеръ (изъ мемуаровъ Клода).—Замокъ Бредовъ (изъ мемуаровъ берлинскаго сышика).—*Изъ русскихъ процессовъ*: Похищеніе мощей св. Димитрія митрополита.—Убійство Карепиной.—Мошенническое похищеніе денегъ у кн. Амабелекъ.—Изъ тьми деревенской.—Дѣло Мержвинской.

***Въ приложеніи***: Тайна почерка (графологія).—Судебныя ораторы: Марсельеза. Рѣчь Кремье.—Убійство жены. Рѣчь Шубинскаго.—Дѣло Овсянникова.—Рѣчь Жуковскаго.—Судебныя ошибки: Убійство Гая.—Матереубійца.—Дѣло Тальмы.—Убійство Старосельскаго.—Дѣло братьевъ Скитскихъ.—Полныя рѣчи: Громницкаго, Жуковскаго, Карабчевскаго, Миронова, Плевако.—Дѣло Дрейфуса. Пересмотръ въ Кассаціонномъ судѣ. Процессъ въ Реннѣ.—Тисъ-Эстлярскій процессъ. (Ритаульное убійство). Съ портретами и рисунками.

პ. (5—3) Редакторъ-издатель **Л. Ѳ. Снегиревъ.**

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА

НА ГАЗЕТУ

# „СВѢТЪ“

съ пересылкою и доставкою:

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . . .
„ 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . .
„ 1 іюля по 1 октября . . . . . . . . .
„ 1 октября, по 31 декабря . . . . . . . . . **1 р.**

**На полгода:** **2 —**

съ 1 января или съ 1 іюля . . . . . . . . .

**На девять мѣсяцевъ:** **3 —**

съ 1 апрѣля. . . . . . . . . . . . . . .

**На годъ:** **4 —**

съ 1 января . . . . . . . . . . . . . . .

**На иные сроки подписка не принимается**

***Примѣчаніе.*** подписка на „приложеніе романовъ“ къ газетѣ „Свѣтъ“ принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи „Приложеніе Романовъ“ не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ приложеніемъ“.

**Адресъ редакціи: С.-П.Б., Невскій, 138.**

).35—2) Редакторъ-издатель **В. В. Комаровъ**



ამომცემელი გიგ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Декабря, 1899 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ობა. დიდი ვანქის ქუჩა, № 27